



მოდირიცირებულია და განხილულია ჰუმანიტარული  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №6, 17.04.2014)  
დამტკიცებულია  
თჰუ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3  
მაისის №03/გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2014 წლის 6 მაისის N 38/07 ბრძანებით  
მოდირიცირებულია და განხილულია ჰუმანიტარული ფაკულტეტის  
საბჭოს სხდომაზე (ოქმი №1, 04.02.2017)  
განხილულია  
თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 თებერვლის №02/2017/გადაწყვეტილებით  
დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2017 წლის 10 თებერვლის N 17/01  
ბრძანებით

**თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარული ფაკულტეტი**

**საბაკალავრო პროგრამა**

**ევროპეისტიკა**

თბილისი

2017

1. პროგრამის დასახელება **ევროპეისტიკა**  
 მიმათულება: **10-ჰუმანიტარული მეცნიერებანი**  
 სპეციალობა **1005-ფილოლოგია**  
 უმაღლესი განათლების საფეხური - **ბაკალავრიატი**  
 საგანმანათლებლო პროგრამის მოდელი საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად-  
**ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები**
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ფილოლოგიის ბაკალავრი /Bachelor of Philology**
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - **240 კრედიტი, ერთი კრედიტი - 25 საათია**, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა, 1 სემესტრის მანძილზე -30 კრედიტი
4. პროგრამის ხანგრძლივობა - **4 წელი, 8 სემესტრი**
5. სწავლების ენა - **ქართული/სასწავლო კურსების ნაწილის პრაქტიკული მხარე წარიმართება ინგლისურ ენაზე**
6. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

1.თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ

და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

3. ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტმა უნდა ჩააბროს: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და ერთ-ერთი უცხოური ენა. არჩევითი საგნებიდან აბიტურიენტს შეუძლია ჩააბროს კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი არჩევითი საგნები: ისტორია და/ან ლიტერატურა

4. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/5 ბრძანებით დადგენილი წესისა და სასწავლო უნივერსიტეტის გადმოყვანის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა შესაბამისად.

**7.პროგრამის ხელმძღვანელი** - პროფესორი ირინა ჯობავა (იხ. CV)

## 8.სფეროს აღწერა

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მაღალია საქართველოს აქტივობა ევროპულ სტრუქტურებსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ჩართულობისაკენ, მიისწრაფის ევროპულ სივრცეში დასამკვიდრებლად, ევროპისა და ამერიკის მხარდაჭერით ახორციელებს უამრავ საერთაშორისო პროექტს, იზიარებს ევროპისა და ამერიკის გამოცდილებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და განათლების სფეროში. ბოლო წლების მანძილზე საქართველოში დაარსდა და უწყვეტ რეჟიმში კვლავ გრძელდება მრავალი საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციის დაარსება, აღნიშნულმა პროცესებმა განაპირობა ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხების აქტუალობა, გაიზარდა მოთხოვნა ისეთი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებულად გადაჭრას, კერძოდ, ისეთი სპეციალისტების აღზრდაზე, რომელთაც გარდა ევროპული ენების ცოდნისა (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (Common European Framework of Reference, *CEFR*) შესაბამისი C1 დონეზე მეტყველება, კითხვა, წერა და მოსმენილის გაგება ინგლისურ ენაზე), ხოლო სხვა ევროპულ ენაზე (გერმანული, ფრანგული ან რუსული B 2.2 (ზღვრულ განვითარებულ) დონეზე), ექნებათ ფართო ცოდნა ევროპული ლიტერატურის ძირითად ტენდენციებზე, ინგლისური ლიტერატურის ისტორიაზე ძველი დროიდან დღემდე, ევროპის ქვეყნების ისტორიის, კულტურისა და სხვა საკითხებში.

წინამდებარე პროგრამა წარმოადგენს მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში წამყვანი და უმთავრესი დასავლეთ-ევროპული ენის -ინგლისური ენის, ასევე ინგლისური ლიტერატურის ისტორიის შუა საუკუნეებიდან დღემდე, ქვეყანათმცოდნეობის (დიდი ბრიტანეთის ისტორიის და კულტურის) და სხვა თეორიული და პრაქტიკული შინაარსის ფილოლოგიურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დისციპლინების შემსწავლელ საბაკალავრო პროგრამას, რომლის დამთავრების შემდეგ ურსდამთავრებულს ენიჭება ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

## 9. საბაკალავრო პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს განუვითაროს და გამოუმუშავოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების და ფილოლოგიის სფეროს ფართო და ზოგადი ზოდნა და რელევანტური დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, რაც განსაზღვრულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერით.

პროგრამის მიზანი შეესაბამება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც მდგომარეობს დაინტერესებულ პირებისათვის სათანადო ხარისხისა და ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლების მიღებაში, პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში, მისი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაში, სტუდენტში თანამედროვე ცოდნის შეძენაში და შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით უზრუნველყოფაში. ამ ღირებულებების გათვალისწინებით და მისიაში დასახული მიზნების თანმიმდევრულად განხორციელებისათვის შემუშავებულია ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის და უნარების შეძენის, პროფესიული განვითარებისა და სწავლის გაგრძელების, პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად მოტივაციის ჩამოყალიბებაზე.

**ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს** სტუდენტი აღჭურვოს ინგლისური ფილოლოგიის ფართო ცოდნით, რომ მას ქონდეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (Common European Framework of Reference, *CEFR*) შესაბამისი ინგლისური ენის მაღალი დონე (ენის პროფესიული ფლობა) C 1.2, სხვა ევროპული ენის (გერმანული, ფრანგული ან რუსული) (ზღვრული განვითარებული) B 2 , შეასწავლოს სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები და განუვითაროს მათი კრიტიკული ანალიზის, ლიტერატურული ტექსტების ფორმალური, ესთეტიკური და სტრუქტურული ნიშან-თვისებების შეფასების უნარები, რომ გააცნობიეროს ევროპული ქვეყნების ისტორია, ევროპული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები, ინგლისური ენის პრაქტიკული და თეორიული კურსები, ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხები.

## 10. სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო თეორიული მომზადება და პრაქტიკული მზაობა ამ სფეროსთვის დამახასიათებელი კუთხით.

**ცოდნა და გაცნობიერება** - ბაკალავრს გააჩნია ჰუმანიტარული მეცნიერებების ზოგადად, და კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ფართო ცოდნა, ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი ინგლისური ენის მაღალ დონეს (პროფესიული ფლობა) **C 1.1**, და აკმაყოფილებს ამ დონის ოთხივე სამეტყველო კომპეტენციისადმი (კითხვა, მოსმენა, საუბარი, წერა,) წაყენებულ მოთხოვნებს:

**კითხვა (Reading):** შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ვრცელი და რთული სხვადასხვა ჟანრის ტექსტი (მხატვრული, საინფორმაციო, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვა ხასიათის), როგორც კონკრეტულ, ასევე აბსტრაქტულ საკითხებზე, მათ შორის დარგობრივი ტექსტები და გაიგოს შინაარსი (სარეკლამო ბროშურები, საგაზეთო სტატიები, სამეცნიერო სტატიები, საქმიანი კორესპოდენცია, ენციკლოპედიური მონაცემები, ტექნიკური ინსტრუქციები, თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები და სხვა); გამოიტანოს ქვეტექსტები და ავტორის ჩანაფიქრი, ამოიცნოს დეტალები და განწყობა.

**მოსმენა (Listening):** პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგება, ყურადღების კონცენტრირება საჭირო მონაცემებზე, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგება და მისი შინაარსის გადმოცემა (კონკრეტულ და აბსტრაქტული თემატიკის ირგვლივ). ესმის აუდიო მასალა, როგორც ყოფით თემებზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და განათლების დარგში; შეუძლია უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით და დარგობრივ თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება; გააჩნია უნარი ზოგადი შინაარსის გასაგებად ნაცნობ ლექსიკაზე დაყრდნობით ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, საუბრის თემა.

**საუბარი (Speaking):** ფლობს ენის მატარებელთან სპონტანური დაუგეგმავი ინტერაქციის ხერხებს ენის შეუფერხებელი ფლობის გარკვეული ხარისხით. გაბმულად აღწერს საკუთარ გამოცდილებას და მოვლენებს, საკუთარ ოცნებებს, იმედებს, ამბიციებს, მოყავს მაგალითები და ხსნის მიზეზებს საკუთარი გეგმებისა და შეხედულებების გასამყარებლად. შეუძლია მოყვეს ამბავი, მოთხრობა ან წიგნისა თუ ფილმის სიუჟეტი და გადმოსცეს საკუთარი რეაქციები, დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით; შეუძლია მოვლენების ადეკვატური შეფასება, შედარება, კრიტიკა და ანალიზი ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით. დიალოგის გამართვა, როლური გათამაშება, პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა - კამათი(მონოლოგური/ დიალოგური, მოცემულ სიტუაციაზე მოთხრობის აგება, სურათის აღწერა და აქტუალურ თემებზე პრეზენტაციის გაკეთება. შეუძლია დამოკიდებულების და ემოციური განწყობის გამოხატვა (მოწონება, უკმაყოფილება, დაზუსტება, დადასტურება, მადლობა, ბოდიში, გაკვირვება, სიხარული) და სიტუაციის დახასიათება; წაკითხული და გაგონილი ინფორმაციის შეჯამება და ძირითადი საკითხების გამოყოფა; პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და მხარდაჭერა/ოპონირება.

**წერა (Writing):** პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდა ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად წერის უნარ-ჩვევებს და წესებს (დაწეროს ოფიციალური წერილი, თხზულება, კარნახი და ესე ინგლისურ ენაზე); ფლობს საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ გამოხატვის უნარს, გააჩნია დარგობრივი და სალიტერატურო სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, იდიომები, ანდაზები და ფრაზეოლოგიური ერთეულები და სალაპარაკო კლიშეები) აღჭურვილი თხზულების/ესეს შედგენის უნარი, რომელიც გამყარებულია კონკრეტული მოსაზრების მხარდაჭერით/კრიტიკით და გააჩნია არგუმენტირებული დასკვნები და სტრუქტურულად შეესაბამება სტანდარტებს; ფლობს ინფორმაციული, სამადლობელო, მოსაბოდიშებელი, მოსაწვევი, დამაზუსტებელი, განმარტებითი, შედარებითი და აღწერითი,



თხრობითი და მოვლენათა განვითარების ახსნა-განმარტებითი სახის წერილისა თუ სხვა ნაშრომის წერის წესებს და უნარებს.

ასევე კურსდამთავრებული ფლობს ერთ-ერთი ევროპული ენის (გერმანული, ფრანგული ან რუსული) ზღვრულ განვითარებულ დონეს B2 და შესაბამისად აკმაყოფილებს ამ დონის ოთხივე სამეტყველო კომპეტენციისადმი (კითხვა, აუდირება, საუბარი, წერა,) წაყენებულ მოთხოვნებს:

### კითხვა (Reading)

კითხვის უნარის გასავითარებლად გამოიყენება ნახევრად ავთენტური ან ავთენტური გერმანულენოვანი, ფრანგულენოვანი ან რუსულენოვანი ტექსტები. სტუდენტს გააჩნია ინსტრუქციების გაგების უნარი (სავარჯიშოს პირობა, აბრა, რჩევა დარიგება, გამაფრთხილებელ წარწერა), სათანადოდ რეაგირებს მითითებებზე, იგებს კორესპონდენციას, ამოიცნობს ფორმატს (მეგობრული/სამოტივაციო წერილის ხელნაწერი ან ელექტრონული ვერსია), ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, კორესპონდენციის მიზანი, გაგზავნის თარიღი, ადრესატის/ავტორის მისამართები); ამოიცნობს წერილში ასახულ თემას/საკითხებს; ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას; ამოიცნობს შეხედულებებს, ემოციებს; ეცნობა პრესას (ინტერვიუ, გამოკითხვა, მკითხველის გამოხმაურება; ამოიცნობს კორესპონდენტს, რესპონდენტს; ამოიცნობს თემას/საკითხებს; ამოიცნობს რესპონდენტის ემოციებს, შეფასებებს, შეხედულებებს იგებს ფაქტობრივი მასალის შემცველ შემეცნებით ტექსტს სხვადასხვა თემაზე (ისტორიის, კულტურის, ბუნებისმეტყველების სფეროებიდან ( ამოიცნობს მთავარ თემას/საკითხებს; ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას; იგებს თხრობით ტექსტს (მოთხრობა, ცხოვრებისეული ისტორია, მოგონება, დღიური-ამოიცნობს მთხრობელს, ამოიცნობს პერსონაჟებს, ამოიცნობს ამბის მსვლელობის მთავარ ეტაპებს (დასაწყისი, ამბის განვითარება, დასასრული), ამოიცნობს მოვლენათა თანამიმდევრობას, ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას, ამოიცნობს მთხრობელის, პერსონაჟების განწყობილებას, გრძნობებს, მათ დამახასიათებელ თვისებებს, განსაზღვრავს კითხვის მიზანს და შესაბამისად იყენებს კითხვის სხვადასხვა სახეობას (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი (გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ სხვადასხვა ელემენტების მოშველიებით (სათაური, ქვესათაური, ილუსტრაცია, აბზაცების დასაწყისი, ერთ-ერთი აბზაცი, გამოყოფილი სიტყვები, ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობ ვერბალურ (კონტექსტი, უცხოური ენიდან შემოსული სიტყვები, ნაცნობი სიტყვის ფუძე, აფიქსები) და არავერბალურ (ტექსტის აგებულება, ილუსტრაციები) და სხვ.

### მოსმენა (Listening)

სტუდენტი თავს ართმევს ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას (მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციებში (საყიდლებზე ყოფნა, სიტუაციის გარკვევა, დაჯავშნა, შეკვეთა და სხვა), ინტერაქციის მსვლელობისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, სათანადოდ რეაგირებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე, ახერხებს სატელეფონო საუბარს, მართებულად იყენებს მეტყველების ფორმებს ; მონაწილეობს ინტერაქციაში (სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე, გამოხატავს საკუთარ ემოციებს, განწყობილებებს, შეხედულებებს , აფასებას მოვლენებს, ფაქტებს, ადამიანებს, სათანადოდ იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ფორმებს, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენაზე მიმართავს და პასუხობს პედაგოგს, თანატოლებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით; გაბმულად ლაპარაკობს ( საუბრობს მისთვის საინტერესო საკითხებზე

(სამომავლო გეგმები, ოცნებები, მეგობრები და სხვა), ყველა თავს გადამხდარ, გაგონილ, ნანახ, წაკითხულ ამბავს, საკამათო საკითხებთან დაკავშირებით გამოხატავს და განმარტავს თავის პოზიციას, რასაც ამყარებს მაგალითით.

### საუბარი (Speaking)

სტუდენტი თავს ართმევს ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას (მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციებში (საყიდლებზე ყოფნა, სიტუაციის გარკვევა, დაჯავშნა, შეკვეთა და სხვა), ინტერაქციის მსვლელობისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, სათანადოდ რეაგირებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე, ახერხებს სატელეფონო საუბარს, მართებულად იყენებს მეტყველების ფორმებს; მონაწილეობს ინტერაქციაში (სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე, გამოხატავს საკუთარ ემოციებს, განწყობილებებს, შეხედულებებს, აფასებას მოვლენებს, ფაქტებს, ადამიანებს, სათანადოდ იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ფორმებს, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენაზე მიმართავს და პასუხობს პედაგოგს, თანატოლებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით; გაბმულად ლაპარაკობს ( საუბრობს მისთვის საინტერესო საკითხებზე (სამომავლო გეგმები, ოცნებები, მეგობრები და სხვა), ყველა თავს გადამხდარ, გაგონილ, ნანახ, წაკითხულ ამბავს, საკამათო საკითხებთან დაკავშირებით გამოხატავს და განმარტავს თავის პოზიციას, რასაც ამყარებს მაგალითით.

### წერა (Writing)

სტუდენტი დაეუფლა პირადი წერილების წერის უნარს ( იცავს კორესპონდენციის ფორმალურ მხარეს (თარიღი, ხელმოწერა, მისამართი), ადრესატის ვინაობის გათვალისწინებით შეარჩევს მიმართვისა და დამშვიდობების სათანადო ფორმულებს, აგებს თხრობას, თანამიმდევრულად გადმოსცემს მოვლენებს, ფაქტებს, იცავს ფრაზებს შორის ლოგიკურ კავშირს, გამოხატავს განწყობილებას, სურვილებს, შეფასებებს, იცავს გრამატიკისა და ორთოგრაფიის ნორმებს; წერს სასწავლებელში ან სამუშაო ადგილზე წარსადგენ საკუთარ ან ფიქტიურ ბიოგრაფიას ( იცავს საჭირო ფორმატს, ლაკონურად გადმოსცემს შესაბამის ინფორმაციას; გადმოსცემს საკუთარ შეხედულებას, დამოკიდებულებას და ასაბუთებს მათ (მიუთითებს სადისკუსიო თემას, რომელიც ასახულია პრესაში (აქტუალურ საკითხზე ჩატარებული გამოკითხვა, ინტერვიუ, მკითხველის გამოხმაურება, რეცენზია), გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას და განმარტავს მას, პოზიციის გასამყარებლად მოჰყავს მაგალითი, იცავს გრამატიკისა და ორთოგრაფიის ნორმებს; მიმართავს წერის სათანადო სტრატეგიებს (მოიძიებს და ამზადებს აუცილებელ სასწავლო რესურსებს (ლექსიკონი, ნიმუში,გრამატიკული ცნობარი ), ადგენს შესასრულებელი სამუშაოს გეგმას და წერს შავ ვარიანტს, კითხულობს შავ ვარიანტს, სასწავლო რესურსზე დაყრდნობით ამოწმებს და ასწორებს ნაწერს, ათეთრებს მას.

*სხვა თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სწავლის შედეგად:*

სტუდენტი ერკვევა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და კერძოდ ინგლისური ფილოლოგიის საკითხებში, ესმის ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურული თავისებურებანი და აქედან გამომდინარე გაცნობიერებული აქვს ენის, საზოგადოების, ინდივიდსა და ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირი; იცნობს ევროპული ენების შესასწავლ საჭირო წინაპირობას-კლასიკურ (ლათინურ ენას) და გააზრებული აქვს მისი როლი დარგის დასაუფლებლად; იცნობს ევროპული ლიტერატურის

ტენდენციებს და იცის ინგლისური ლიტერატურის შედეგები უმველესი დროიდან თანაედროვეობამდე, ლიტერატურული მიმდინარეობების, ჟანრებისა და ტროპის სახეები; გააჩნია ზოგადთეორიული ცოდნა ინგლისური ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ფონდის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ; ლიტერატურული ტექსტის ფუნქციონალური თავისებურებებისა და მისი ზოგადი მახასიათებლების შესახებ; იცნობს ძირითად ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით ცნებით აპარატს, დეფინიციებს, იცის ენის ისტორიული განვითარების თავისებურებების შესახებ; გააჩნია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნა გრამატიკის სისტემის, მისი კატეგორიების დარგში; გააზრებული აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში ენის როლის შეფასების და ინგლისურის, როგორც გლობალური ენის მნიშვნელობა.

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ფილოლოგიის სფეროების დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კერძოდ:

კურსდამთავრებულს შეუძლია ინგლისური ენის C 1 და სხვა ევროპული ენის B 2 დონის ფლობით სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის მქონე მოქალაქეებთან თანამოღვაწეობა, ასევე კომპლექსური ხასიათის ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში. კურსდამთავრებული დაეუფლა კომუნიკაციურ-ენობრივ უნარებს და შეუძლია ენობრივ თუ კომუნიკაციურ აქტივობებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებულ სიტუაციაში გადატანა. შეუძლია ტექსტების გადამუშავება მათი მომდევნო გამოყენების მიზნით და **მედიაცია**, რომელიც წარმოადგენს როგორც ზეპირ აქტივობას, ისე წერილსაც. იგი გულისხმობს ნებისმიერი სახის და სირთულის ტექსტის შინაარსის გადმოცემას თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით, ასევე კონკრეტული ტექსტის შინაარსი მისაწვდომი გახადოს იმისთვის, ვისაც ამ ტექსტზე უშუალოდ არ მიუწვდება ხელი.

შეუძლია უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისური ენის, პრაქტიკული გამოყენება პროგრამის მიერ დასახული დონის ფარგლებში მთელი რიგი წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენის ეფექტურად გამოყენება; შეუძლია გააანალიზოს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ტექსტები. შეუძლია სიტყვის მორფემული და კატეგორიული სტრუქტურის, გრამატიკულ კატეგორიათა და გრამატიკულ ცვლილებათა ანალიზი; წინადადებათა კომუნიკაციურ ტიპებისა და მათი თავისებურებების ანალიზი; შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, ბიბლიოგრაფიის მოპოვება, და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით რეფერატული სახით მომზადებული შრომის პრეზენტაცია.; ფლობს ტექსტთან მუშაობის სტრატეგიებს: შეუძლია რეფერირება, რედაქტირება, წაკითხულის შეფასება, კრიტიკა, დასკვნების გამოტანა, მონაცემთა სინთეზი, შეჯამება და ანოტირება განსაკუთრებით ინტერაქციის მეთოდის გამოყენებით, ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება, პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.



კურსდამთავრებულს შეუძლია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით. მას შეუძლია შეფასებისათვის სამუშაოს წარდგენა დროულად, პროფესიულად და ფორმატის მოთხოვნების შესაბამისად.

### დასკვნის უნარი

ამ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, შეუძლია მონაცემთა ინტერპრეტაცია, კრიტიკული შეფასება, სათანადო წერილობითი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; მინიმალური ზედამხედველობის /ხელმძღვანელობის პირობებში მას ასევე შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. ინგლისური ფილოლოგიის სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება; ინგლისურენოვანი აუდიო და ბეჭდური ინფორმაციის, ლიტერატურული თხზულებების, მხატვრული და სპეციალური ტექსტების ანალიზი, გააზრება და შემდგომში მოძიებული მასალის გამოყენება და დემონსტრირება.

### კომუნიკაციის უნარი

ევროპეისტიკის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება, კერძოდ:

სტუდენტს შეუძლია ინგლისურენოვანი ტექსტების სწორად წაკითხვა, თარგმნა და გრამატიკული ანალიზი, აითვისა მისთვის საჭირო ტერმინოლოგია, რამაც ხელი შეუწყო კოლეგებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციაში მისი სპეციალობის მიხედვით, უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით აქვს შესაბამისი წყაროების მოძიების უნარი; სტუდენტს გამოუმუშავდა შემდეგი კომპეტენციები: ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენციები, სასაუბრო (სამეტყველო) კომპეტენციები-მეტყველების აგების უნარ-ჩვევები, საკომუნიკაციო კომპეტენციები, როდესაც სტუდენტს შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი დამაჯერებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.

შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემაზე; შეუძლია ანგარიშის, საქმიანი წერილის, მოთხრობისა და სხვადასხვა ტიპის ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. შეუძლია კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა /პრეზენტაცია; შეუძლია არამხატვრული ტექსტის სწორად თარგმნა და რეფერირება, ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

### სწავლის უნარი

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გამოუმუშავდა:

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; სწავლის პროცესში პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი; სწავლის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;

საკუთარი სწავლის პროცესის გონივრულად წარმართვის უნარი ცოდნის რეგულარული ამაღლებისა და განახლების მიზნით; შეუძლია განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის გაგრძელება, აქვს სწავლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, შეგნებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა;

კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს უცხო ენების (ინგლისური, ასევე გერმანული, ფრანგული ან რუსული) დამოუკიდებლად სწავლის უნარი და იყენებს *სწავლის სწავლის მეთოდს*, რაც გამოიხატება შედეგების დამოუკიდებლად შეფასებაში, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაში; სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებაში; კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების სტრატეგიების გამოყენებაში, მიზნის გამოკვეთაში, რომელსაც ემსახურება ესა თუ ის აქტივობა ან დავალება, სამუშაოს შესრულების გზის დამოუკიდებლად განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის სხვისი დახმარებით მართვაში, ეფექტიანად რესურსების გამოყენებაში და გუნდურ მუშაობაში. ამ ყველაფრის შედეგად კურსდამთავრებული აცნობიერებს საკუთარ და ალტერნატიული მიდგომას კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას.

### ღირებულებები

კურსდამთავრებული მონაწილეობს ლიბერალური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. ინგლისური და ერთ-ერთი მეორე ევროპული ენის სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების გაგება, გააჩნია განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებისა, პატივისცემისა და დამოკიდებულების უნარები, გაეცნო ცხოვრების განსხვავებულ წესებს, შეუძლია *კულტურათა დიალოგში* თავისუფლად ჩართვა უცხოენოვანი ინფორმაციის მიღების და ამოკრეფის პროცესში, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, შეფასებების გამოთქმა, საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან პარალელების გავლა. სწავლის შედეგად ბაკალავრს გაულრმავდა კულტურული კუთვნილების განცდა, გააცნობიერა კულტურული მრავალფეროვნება. ახასიათებს ტოლერანტობა კულტურული და ინდივიდუალური განსხვავებების მიმართ, პოულობს ანალოგიებს, განსხვავებებს საკუთარ და დასავლეთ-ევროპული სულიერ სამყაროებს შორის, ამოიცნობს სტერეოტიპულ შეფასებას; ითვალისწინებს განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოში მიღებულ ქცევის წესებს (აკვირდება და ანალიზებს სოციოკულტურულ თავისებურებებს, იცავს დასავლეთ-ევროპული სოციო-კულტურული გარემოსთვის დამახასიათებელ ნორმებს.

## 11. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც უნივერსალური და აპრობირებული სწავლების მეთოდები, ისე სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით, უცხო ენებისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდები და მათი გამოყენების შედეგად სტუდენტს უნვითარდება დარგოსათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები.

ა) ტრადიციული და აპრობირებული სწავლების მეთოდებიდან გამოიყენება:

**ლექცია** შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობის** დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

**პრაქტიკული მეცადინეობის** დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

**სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

- **ვერბალური და წერიტი მუშაობის მეთოდები;**
- **წიგნის დამუშავების მეთოდი;**
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უნვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;

- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

- **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;

- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს

საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, კერძოდ: **წიგნზე მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიებას, მომზადებას, მათ დაჯგუფებას, სისტემატიზირებას და დამუშავებას;

**პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა



მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.

ბ)ინგლისური, ასევე გერმანული, ფრანგული ან რუსული ენის სწავლებისას ხდება **უცხო ენის სწავლების აპრობირებული და ეფექტური მეთოდების** გამოყენება:

გამორჩეულია **კომუნიკაციური მეთოდი (Communicative Language Teaching)** რომელიც წარმოადგენს დღესდღეობით ყველაზე პოპულარულ და ეფექტურ მეთოდს უცხო ენის შესასწავლად. კომუნიკაციური მიდგომა მიმართულია ენობრივის კომპეტენციის დახვეწაზე და თანაბრად უნვითარებს შემსწავლელს ოთხივე უნარს (საუბარი, წერა, კითხვა და მოსმენა). ძირითადი დატვირთვა აქვს ინტერაქციებს წყვილში და ჯგუფში, რომელშიც სტუდენტი აქტიურად არის ჩართული. ინტერაქციის ფარგლებში ხდება აზრების გაზიარება, კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობა, მოსაზრების განსჯა-ანალიზი, საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირება, დებატები, დიალოგი და როლური გათამაშებები. კომუნიკატიური სწავლების დროს აქტიურად გამოიყენება შემდეგი მეთოდები, როელიც ხელს უწყობს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას ჯგუფურ მუშაობაში და წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს უცხო ენის დასაუფლებლად:

**როლური და სიტუაციური თამაშები** -სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.



**გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (The Grammar- Translation Method)**, რომლის მთავარი მიზანია წერითი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.

**აუდიოლინგვისტური მეთოდი (Audio-lingual Method)**-რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტები ისმენენ და იმეორებენ მასწავლებლის მიერ არაერთხელ განმეორებულ ჩანაწერებს.

**სიტუაციური სწავლება-ზეპირი მიდგომა (Situational Language Teaching (Oral Approach))**. სტუდენტი განმეორების გზით იმახსოვრებს ყველაზე გამოყენებად სიტყვებს და ენობრივ კონსტრუქციებს, აქვე ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში. ძირითადი იდეები: ზეპირი მეტყველება დომინირებს წერით მეტყველებაზე, შეცდომების თავიდან აცილება ხდება თავიდანვე, ანალოგიების გამოყენება, სიტყვები იძენენ აზრობრივ დატვირთვას მხოლოდ კონტექსტში.

**პირდაპირი მეთოდი (The Direct Method)**-ენის სწავლება ხდება პირველივე დღიდან. მშობლიური ენის გამოყენება იკრძალება. იდეა მდგომარეობს მასალის ბუნებრივ სწავლაში.

**თანმიმდევრული მეთოდი (The series method)**-პირდაპირი მეთოდის ქვემეთოდს წარმოადგენს. ამ მეთოდის დროს სასწავლო ტექსტებში არის დროის თანმიმდევრობა, ხშირად გამოიყენება მოქმედების თანმიმდევრობა (მე შევდივარ სააბაზანოში, ვაღებ ონკანს, ვიხეხავ კბილებს...). მეთოდი გულისხმობს შესაწავლი მასალის დიდი რაოდენობით განმეორებას.

**ჩუმი მეთოდი (Silent Way)** -მასწავლებელი მეტს ისმენს, ნაკლებს საუბრობს. გამოთქმის შესწავლის მიზნით გამოიყენება ცხრილები, სადაც გამოყოფილია ბგერები. ასეთი გზით ხდება ახალი სიტყვების სწავლა.

**ბუნებრივი მიდგომა (Natural Approach)**-აქცენტი კეთდება იმ გარემოებაზე, რომ სტუდენტს არ შეუძლია ყველაფრის ერთდროულად ათვისება. მასალის ყოველი მომდევნო პორცია აუცილებლად ეფუძნება უკვე განვლილ მასალას და ადვილად ასათვისებელია.

**ფიზიკური რეაგირების მეთოდი (Total Physical Response)**-გულისხმობს სტუდენტების მიერ მასალის პასიურად ათვისებას მათი გამოყენების გარეშე, მომდევნო ეტაპზე ხდება მათი ფიზიკური რეაგირება ზოგიერთ სიტყვებზე, მაგალითად მოქმედების ზმნებზე. ორი ეტაპის გავლის შემდეგ სტუდენტები იწყებენ ენის პრაქტიკაში გამოყენებას დამოუკიდებლად.

**სწავლა სწავლებით (Learning by teaching (LdL))** — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი.

**აუდიო-ვიზუალური მეთოდი**-გამოიყენება მხოლოდ უცხო ენა. ლექცია/პრაქტიკულ მეცადონებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.

გ) დარგობრივი ლიტერატურის და მხატვრული ტექსტების სწავლების მიზნით გამოიყენება ასევე **ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები**:

**შემოქმედებითი აღქმის მეთოდი (შემოქმედებითი კითხვის მეთოდი)**, რომლის მიზანია ძლიერი და ხანგრძლივი მხატვრული შთაბეჭდილების ხელშეწყობა, რომელიც თანდათანობით ღრმავდება . ამ დროს ხდება საუბარი სტუდენტებთან წაკითხულის შთაბეჭდილების გაზიარების მიზნით; წაკითხული ნაწარმოებიდან მხატვრული, ზნეობრივი, ფილოსოფიური პრობლემის დასმა;

ლექტორის სიტყვა ან საუბარი ნაწარმოების შესწავლის შემდეგ; ნაწარმოების საშინაო და სააუდიტორიო კითხვა; მხატვრული კითხვა, მხატვრული კითხვის მოსმენა; გეგმის შედგენა, ტექსტის შინაარსის თხრობა, მხატვრული მოყოლა, წერითი და ზეპირი დასკვნების გაკეთება წაკითხულზე, კრიტიკული შენიშვნების გაკეთება, ილუსტრაციების განხილვა, ლექტორის მხრიდან მხატვრული, ხატოვანი კითხვა, მწერლების კითხვა; ხატოვანი კითხვის სწავლება, კომენტირებული კითხვა.

**ანალიზურ-ინტერპრეტაციული (საძიებო) მეთოდი**, მისი მიზანია -ლიტერატურული ნაწარმოების სიღრმისეული შესწავლა

**სინთეზური მეთოდი** -ახდენს ორმაგი ასპექტის რეალიზებას:ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთობლიობა, რომლის მიზანია სწავლისადმი კომპლექსური შემოქმედებითი მიდგომის ხელშეწყობა.

**ევრისტიკული მეთოდი, რომელიც გულისხმობს:**

მხატვრული ნაწარმოების ტექსტის ანალიზის შესწავლას, ეპიზოდის ანალიზს, ერთმანეთთან დაკავშირებული ეპიზოდების შესწავლას, გმირების სახეების, ენის, ნაწარმოების, კომპოზიციის, სხვადასხვა ნაწარმოების შეპირისპირებას. კითხვების დასმას, ციტატების მოყვანას, გეგმის შედგენას როგორც კომპოზიციის ანალიზის მეთოდი, გმირის სახის ანალიზს, პერსონაჟთა შედარებით დახასიათებას, ნაწარმოების ანალიზის შედეგების, ნაწარმოების შედარებითი ანალიზის, დასმული პრობლემის ანალიზის კონსპექტირებას.

**ჰერმენევტიკული მეთოდი**- ლიტერატურათმცდმენობასა და ლინგვისტიკაში ტექსტის შიდა (დაფარული) განმარტებისა და ინტერპრეტაციის უმთავრესი მეთოდი. აქტიურად განოიყენება უცხოეთის უმაღლესი განათლების პრაქტიკაში ანალიზური კითხვის ლექციებზე.

## 12. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ცოდნის შესახებ სისტემა

**ევროპესტიკის** საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 სასწავლო წელიწადია, 8 სემესტრი. პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს 240 ECTS და ენიჭება **ფილოლოგიის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელშიც მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები). ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს 1 შუალედურ გამოცდას, რომელიც ტარდება **მე-8 კვირას**. ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კვირების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 40 კვირას, 1 სემესტრის განმავლობაში - **20 კვირას**, რომელშიც მოიაზრება **15 სასწავლო კვირა** (საღივი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების პერიოდი) და **5 კვირა** საგამოცდო: **VIII კვირა** - შუალედური გამოცდების კვირეული, **XVII-XX-** დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კვირეული. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის შუალედური და დასკვნითი გამოცდების კვირეული განსხვავდება. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 საათი), **ევროპესტიკის** საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სტუდენტის წლიური დატვირთვა შეიძლება აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებზე იყოფა:

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელშიც მოიაზრება მრავალკომპონენტური შეფასება:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში-30 ქულა;

შუალედური გამოცდა-30 ქულა- წერიითი

დასკვნითი გამოცდა-წერიითი (40 ქულა) ან კომბინირებული (წერიითი+ზეპირი 20+20 ქულა)

შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის 50%-ს ანუ 20 ქულას 40 ქულიდან, კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში-10 ქულას 20 ქულიდან.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1. ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: (FX) ვერ ჩააბარა -ს მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში და აისახება საგამოცდო ცხრილში.

2. დამატებით გამოცდაზე მეღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.

3. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.

➤ შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები/აქტივობები მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად და ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

- საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შესრულებისა და შეფასების კომპონენტები ასახულია „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემის ნორმატიულ დოკუმენტში (იხ.დანართები).

### 13. დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების საშუალება

კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების ფართო პერსპექტივა, რადგან დღეისათვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ევროპასთან (ევროკავშირთან) მჭიდრო ურთიერთობა და დიდ ევროპულ ოჯახში სრული ინტეგრაციაა. ორი უცხო ენის შესაბამის დონეზე ფლობისა და ევროპის ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის და სხვათაგან ცოდნის შედეგად, ევროპეისტიკის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობები აქვთ დასაქმდნენ სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორში, განათლების სისტემაში, ახალი ამბებისა და საინფორმაციო სამსახურებში, სარეკლამო სააგენტოებში, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისა და ბიზნესის სფეროებში, მასმედიაში უცხო ენებზე წერითი კორესპონდენციის (წერილების, მემოს, ანგარიშის, სტატიის და ა.შ) წარმოება, მათ შეეძლება მთარგმნელობით ბიუროში მთარგმნელობითი საქმიანობის შესრულება, საელჩოში ან ნებისმიერი ორგანიზაციის ინფორმაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობა, ყველგან, სადაც მოთხოვნაა ინგლისური ენის C 1.2 დონის მცოდნე სპეციალისტზე და რომელიმე უცხო ენის (გერმანული, ფრანგული ან რუსული) B2 დონეზე.

პროგრამის კურსდამთავრებულს *სწავლის გაგრძელება* შეუძლია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - *მაგისტრატურაში* საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ამ პროგრამის მოდელი შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიერ შეთავაზებულ პროგრამის ერთ-ერთ მოდელს, კერძოდ ა-მოდელს და შედგება ძირითადი სპეციალობისა და თავისუფალი კომპონენტებისაგან.

ძირითადი სპეციალობის სტატუსით შეთავაზებულია „ინგლისური ფილოლოგია“ 160 კრედიტის მოცულობით. ინგლისური ფილოლოგიის შეთავაზება ძირითადი სპეციალობის სტატუსით განპირობებულია ობიექტური მიზეზებით და XXI საუკუნის გამოწვევებიდან გამომდინარე, ის წარმოადგენს მსოფლიო გლობალიზაციის წამყვან ენას და ლიდერობს კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის პროცესში, უმთავრეს როლს თამაშობს პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერული და სხვ. კონტაქტების განვითარებაში. ბოლო წლებში ქართულ სივრცეში ამ ენის შესწავლა მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში ჩართვის საშუალებას იძლევა.

საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო მოდულში პროგრამა ასევე 30 კრედიტის მოცულობით სტუდენტს სთავაზობს სხვა ევროპულ ენებს (გერმანულ, ფრანგულ ან რუსულს) და ერთ-ერთი ენის სწავლის შედეგად აღწევს ევროპული ენობრივი ჩარჩოს შესაბამის B 2 დონეს, ხოლო თავისუფალი კომპონენტების სახით, რომლის მოცულობა კრედიტებში შეადგენს 20 ECTS, სტუდენტს სთავაზობს უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი



სასწავლო კურსი, გარდა ამისა, პროგრამის სახელწოდებიდან (ევროპეისტიკა) გამომდინარე თავისუფალ კრედიტებში შეთავაზებული იქნება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულების (სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) პროფესორების მიერ შემუშავებული სასწავლო კურსები (ევროკავშირის ეკონომიკა, ევროპის სამართალი, ევროკავშირის სტრუქტურა და პოლიტიკა, ევროკავშირის ისტორია, ევროპის ქვეყნების გეოგრაფია და სხვ).

სტუდენტის თავისუფალ არჩევანზე დამყარებული სასწავლო პროგრამა შესაძლებლობა აძლევს გაიღრმავოს ცოდნა ცალკეულ დარგში.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამით ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS კრედიტი** ნაწილდება შემდეგნაირად:

- **65 ECTS** კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის 30 კრედიტი ეთმობა ერთ-ერთ ევროპულ ენას სტუდენტის არჩევით (გერმანული, ფრანგული ან რუსული);
- **130 ECTS** კრედიტი – ეთმობა ინგლისური ფილოლოგიის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომს;
- **25 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ინგლისური ფილოლოგიის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის;
- **20 ECTS** კრედიტი ეთმობა თავისუფალ სასწავლო კურსებს.

**15. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ**

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია გამართული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასი, სააუდიტორიო ფონდი ვიდეო-ლექციების უზრუნველყოფით, ენის კაბინეტი), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და აპარატურით და უზრუნველყოფს ერთ-ერთი სამეტყველო კომპეტენციის -აუდირების (Listening-ის) ასპექტის რეალიზებას, ასევე სხვა რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სახის პრაქტიკულ, თეორიულ და ინტერდისციპლინარულ მომზადებას. ევროპეისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული/ელექტრონული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდი, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა უზრუნველყოფილია (EBSCOHost (<http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლინკი <http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary2>, (საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/> და სხვ.



## 16. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოთ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასაკმაყოფილებლად.

- პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) თან ერთვის პროგრამას. (იხ.დანართები).